



ანტიოქიის პატრიარქი იოანე X რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქს შეხვდა



2021 წლის 9 ივნისს დიდი ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის უნეტარესმა პატრიარქმა იოანე X ლიბანში სამუშაო ვიზიტით მყოფი მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე ვლადიკავკაზისა და ალანიის მთავარეპისკოპოსი ლეონიდე მიიღო. ბალამანდის საპატრიარქო რეზიდენციაში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს, ასევე, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეტოქის წინამძღვარმა ბეირუთში არქიმანდრიტმა ფილიპემ (ვასილიევი), ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების მონასტრის წინამძღვარმა ბალამანდში არქიმანდრიტმა რომანმა (ხანატი), ბალამანდის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა დ-რმა იელიას ვარაკმა. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ეკლესიათაშორისო თანამშრომლობის საკითხები, კერძოდ, აღნიშნეს ანტიოქიისა და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის არსებული ურთიერთობების მდიდარი ისტორია. საუბრის მსვლელობისას განიხილეს, აგრეთვე, სიტუაცია მთლიანად ახლო აღმოსავლეთ რეგიონში, კერძოდ, ლიბანში. შეხვედრის დასასრულს ვლადიკავკაზის და ალანიის მთავარეპისკოპოსმა ლეონიდემ მოილოცა ბალამანდის უნივერსიტეტის მიძინების მონასტერი.